



პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების –
ქალის ვაგინალური სუპობიტორების –
SCHALI® Care – FI
გამოყენების ინსტრუქცია
სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები

1000

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

1000

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

NANO
SCHALIPRODUCT
LASER

1000

1000

**პროფილაქტიკური ჰიგიენური საშუალების -
ქალის ვაგინალური სუპოზიტორების -
SCHALI® Care - FI
გამოყენების ინსტრუქცია
სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები**

ქალის ვაგინალურ სუპოზიტორებს სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების ჰიგიენისა და პროფილაქტიკისთვის -**SCHALI® Care-FI** - აქვთ ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული მოქმედება და განკუთვნილია ადგილობრივი გამოყენებისთვის გინეკოლოგიაში, სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და დაავადებების მკურნალობისა და პროფილაქტიკისთვის.

გამოშვების ფორმა:

ცხიმოვანი პროფილაქტიკური სანთლები, 2 გ

შემადგენლობა:

შედგება ეკოლოგიურად სუფთა, მცენარეულ-მინერალური წარმოშობის კომპონენტებისგან.

კაკაოს კარაქი, პროპოლისი, დიდი ქრისტესისხლას ფოთლების ექსტრაქტი, გვირილის ყვავილების ექსტრაქტი, მუმო, გრიფონიას თესლის ექსტრაქტი, ტიტანის დიოქსიდი.

მოქმედების მექანიზმი:

სუპოზიტორები ნატურალური მცენარეული ზეთების, მინერალებისა და ფიტოექსტრაქტების ბაზაზე, საშოში თანდათანობით გახსნისას, შეიწოვება ლორწოვანის მიერ და ახდენს მარეგენერირებელ მოქმედებას, ასევე ამაგრებს სისხლძარღვების კედლებს და აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

მნიშვნელოვანია, რომ პრეპარატის კომპონენტებთან ხანგრძლივი კონტაქტის შემთხვევაშიც კი, მიკროორგანიზმებს არ გამოუმუშავდებათ მათ მიმართ რეზისტენტობა.

სუპოზიტორების რეგულარული გამოყენება ააქტიურებს არასპეციფიკური დაცვის ბუნებრივ მექანიზმებს, ზრდის ინტერფერონების, იმუნოგლობულინ A-ს გამომუშავებას და ამრიგად, ახდენს ანტივირუსულ და ანტიმიკრობულ მოქმედებას.

ტიტანის დიოქსიდის ანტიბაქტერიული და ანტიმიკრობული მოქმედება ეფუძნება პეპტიდების, გლიკოზიდებისა და მსგავსთა არაგაჯერებული ქიმიური ბმების დეაქტივაციის უნარს, გარედან შემოსული ეგზოგენური და შიგნიდან შემოსული ენდოგენური მავნე ტოქსიკური შენაერთების მოცილების უზრუნველყოფით. ეს, თავის მხრივ, ანთებითი ხასიათის სხვადასხვა პათოლოგიების სიმპტომების აღმოფხვრის გამოხატულ ეფექტს ახდენს.

ანთების საწინააღმდეგო აქტივობა ვლინდება შემდგომი დაზიანებისგან უჯრედების დაცვაში, პროცესის ექსუდატიური ფაზის შესუსტებაში, ლეიკოციტურ და მაკროფაგულ ინფილტრაციაში, უჯრედების პროლიფერაციის გაძლიერებაში. ის ნაწილობრივ განპირობებულია ანტიოქსიდანტური ეფექტით, ე.ი. მცენარეული კომპონენტების შემადგენლობაში შემავალი ეთერზეთების უნარით, დაამუხრუჭოს თავისუფალი რადიკალების რეაქციები ჟანგვითი ნივთიერებების პირდაპირი ბმის საშუალებით.

ანტიბაქტერიული მოქმედება ასევე დაკავშირებულია პროპოლისში სხვადასხვა მცენარეების ეთერზეთებისა და ფიტონციდების მთელი სპექტრის არსებობით.

პროპოლისი შეიცავს დიდი რაოდენობით ბიოლოგიურად აქტიურ ნივთიერებებს, რომლებსაც იმუნომოდულაციური თვისებები გააჩნიათ (ბიოფლავონოიდები, თუთია, პოლისაქარიდები) და ზრდიან იმუნური უჯრედების ფაგოციტურ აქტივობას.

გვირილის ეთერზეთებს ახასიათებს ანტიმიკრობული მოქმედება, მექანიზმი მიმართულია ბაქტერიების ციტოპლაზმური მემბრანის დესტრუქციაზე გაცვლითი, აერობული სუნთქვის, სინთეზის პროცესების შემდგომი დარღვევით.

მუმოს ადაპტოგენური მოქმედების მექანიზმი დაკავშირებულია მის შემადგენლობაში მაკრო- და მიკროელემენტების კომპლექსის არსებობით. ეს ელემენტები და მათი კომპლექსური ნაერთები დადებითად მოქმედებს ორგანიზმის დაცვითი თვისებების ბუნებრივ და ხელოვნურ ფაქტორებზე.

მუმიო ავლენს ბაქტერიოსტატიკურ მოქმედებას როგორც სპეციფიკური, ასევე არასპეციფიკური ამგზნებების მიმართ.

ქრისტესისხლა ააქტიურებს იმუნიტეტის არასპეციფიკურ რეაქციებს, აძლიერებს ორგანიზმის ბუნებრივ რემისტენტობას, ამაღლებს იმუნური სისტემის T- და B-რგოლების ეფექტურობას, აღადგენს დათრგუნულ იმუნურ რეაქციებს, აძლიერებს ფაგოციტოზს.

პროდუქტი გამოიყენება როგორც პროფილაქტიკური მიზნებისთვის, ასევე სქესობრივი გზით გადამდები ინფექციებისა და დაავადებების კომპლექსური თერაპიისას.

ასტიმულირებს ანტისხეულების სინთეზს, ამაღლებს სისხლის კომპლემენტარულ აქტივობას, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად ამცირებს განმეორებითი ინფიცირების რისკს.

პრეპარატს გააჩნია ჰიპოალერგენული მოქმედება.

ჩვენებები:

სქესობრივი ინფექციების პროფილაქტიკა და დაცვა:

- ბაქტერიული ვაგინოზი
- გარდნერელოზი
- ქლამიდიოზი
- ტრიქომონიაზი
- გენიტალური ჰერპესი
- სტრეპტოკოკული და სტაფილოკოკური ინფექციები
- კანდიდოზი
- ურეაპლაზმოზი და მიკოპლაზმოზი
- ციტომეგალოვირუსი
- პაპილომავირუსი
- გონორეა

გამოყენების წესი:

გამოიყენება ინტრავაგინალურად. გამოყენების წინ გაათავისუფლეთ სუბოზიტორი კონტურული შეფუთვისგან.

სუფთა ხელებით ფრთხილად შეიყვანეთ სუბოზიტორი საშოში. შეიყვანეთ 1 სუბოზიტორი დღეში 2-ჯერ, 30 დღის განმავლობაში. აუცილებლობის შემთხვევაში შესაძლებელია კურსის გახანგრძლივება 90 დღემდე.

გვერდითი მოვლენები:

გვერდითი მოვლენები არაა გამოვლენილი.

არ ვითარდება დამოკიდებულება და არ ჩნდება შეწყვეტის სინდრომი.

უკუჩვენებები:

არ გამოიყენოთ ორსულობის პერიოდში. სხვა უკუჩვენებები არაა გამოვლენილი

შენახვის წესები:

პროდუქტი უნდა ინახებოდეს დაუზიანებელ შეფუთვაში გრილ ადგილზე, +4°C-დან + 15°C-მდე ტემპერატურაზე.

ვარგისიანობის ვადა:

ვარგისიანობის ვადა შეადგენს გამოშვების თარიღიდან 24 თვეს.

არაა რეკომენდებული პროდუქტის გამოყენება შეფუთვაზე მითითებული ვარგისიანობის ვადის გასვლის შემდეგ.

SCHALI® Care სერიის კომპლექსური საშუალებები იწარმოება ლიცენზია № 286-S საფუძველზე.